

15. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

- ა) ხუთნახევარი ბათმანი სიმინდი ერგო ყველა მოსახლეს.
- ბ) რიგით 110-ე იყო ისიდორე.
- გ) ოცდაათ-ოცდაათი კგ. ლობიო ჩააბარეს მეურნეობას.

IV სავარჯიშო: ზმნის პირი და რიცხვი. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

16. რამდენპირიანია ზმნა წინადადებაში: „პატარა დანიელს ღია ბებომ სურათებიანი წიგნი უსახსოვრა.“

- ა) ერთპირიანი
- ბ) ორპირიანი
- გ) სამპირიანი

17. რომელ წინადადებაშია ერთპირიანი ზმნა?

- ა) იდგა და ელოდა უცხოეთში გადახვეწილ შვილს.
- ბ) დედას გვერდს უმშვენებდა წითელკაბიანი გოგონა.
- გ) ინტერესით კითხულობდა ბიჭი „აივენჰოს“ და ოცნებაში ბაძავდა გმირს.

18. რომელი ზმნა შეიწყობს ორ ობიექტს?

- ა) მიესალმა
- ბ) შეატყობინა
- გ) მღერის

19. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

- ა) „მიყვარდა კითხვა, წიგნს ვსახავდი მე თვალისჩინად!“
- ბ) მოსჩანდა მობიბინე მინდორ-ველი.
- გ) ზღაპრებს ვუამბობდით გატრუნულ ბავშვებს.

20. რომელ წინადადებაში არ არის შეცდომა?

- ა) და-ძმა მხიარულად მიუყვებოდნენ აღმართს.
- ბ) მინისძვრის გამო მთა და ბარი ირყეოდნენ.
- გ) ზეიმობდნენ გამარჯვებულები და მილოცვებსაც იღებდნენ.

V სავარჯიშო: ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი, სრულმნიშვნელობიანი და დამხმარე მეტყველების ნაწილები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

21. რამდენი მეტყველების ნაწილი გვაქვს ქართულში?

- ა) ათი
- ბ) ხუთი
- გ) შვიდი

22. რამდენი ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილი გვაქვს ქართულში?

- ა) სამი
- ბ) ოთხი
- გ) ხუთი

23. რამდენი დამხმარე მეტყველების ნაწილი გვაქვს ქართულში?

- ა) სამი
- ბ) ოთხი
- გ) ხუთი

24. როგორია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „- თათრები ჩვენი მომრევები არ არიან! - დაბეჯითებით ამბობს ბიჭი.“

- ა) ფორმაცვალებადი
- ბ) ფორმაუცვლელი
- გ) დამხმარე

25. როგორია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში:

- „კეთილოს ძალიან უყვარს, ყელთან რომ ვეფერებით.“
- ა) ფორმაცვალებადი
 - ბ) ფორმაუცვლელი
 - გ) სრულმნიშვნელოვანი

VI სავარჯიშო: ტექსტის გააზრება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

ქართული ფუტკარი

- I. ქართული ფუტკარი, რომელიც აღიარებულია მსოფლიოში, გრძელხორთუმიანია.
- II. ნექტარი უცხო სიტყვაა და ნიშნავს უკვდავების წყაროს. ნექტარში შედის ყველა ის ელემენტი, რომელიც თაფლშია, მაგრამ შაქრიანობით თაფლისგან განსხვავდება. ნექტარში წყალი მეტია, თაფლში კი - მცირე.
- III. დადგენილია, რომ ნექტარში შაქრის რაოდენობა 5-7 %-მდე მერყეობს.
- IV. ნექტარის გამოყოფაზე კარგად მოქმედებს ხანმოკლე წვიმები და შემდეგ მზიანი დღეები. ქარები ამრობს ნექტარს. ნექტრის უხვი რაოდენობა მცენარის სახეობასთანაა დაკავშირებული.

